

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 04-225 ბრძანებით (24.11.2020)
სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯის
დირექტორი თეიმურაზ ასათაანი

სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯი



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ფუტკრის დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა

პროგრამის სახე:

- პროფესიული მომზადება
- პროფესიული გადამზადება

<p>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:</p> <p>□ 2 □ 3 □ 4 □ 5</p>
<p>პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8 კვირა</p>
<p>კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 6-10 სთ</p>
<p>მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: 10</p> <p>მინიმალური: 5 მაქსიმალური: 10</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ფუტკრის ჰაუზი მინიმუმ ორი ოჯახი, ფუტკრებთან მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება საბაზო განათლება; საფუტკრე მეურნეობაში მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება.</p>
<p>პროგრამის მიზნები:</p> <p>პროგრამის მიზანია გადამზადოს მეფუტკრეობის სფეროში მომუშავე პირები (მეფუტკრე, საფუტკრე მეურნეობაში მომუშავეები/დამხმარეები და სხვ.) კვალიფიციურ სპეციალისტებად. განუვითაროს მათ საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე სათანადო კომპეტენციები, რათა შეძლონ პროფესიული საქმიანობის წარმატებულად განხორციელება, როგორიცაა, ფუტკრის დაავადებებისა და მავნებლების ამოცნობა, დაავადებების მართვა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, ასევე, მსმენელებს გაუუმჯობესოს ის კომპეტენციები, რომლებიც დაეხმარება დასაქმებასა და თვითდასაქმებაში.</p>
<p>სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)</p> <ol style="list-style-type: none">ფუტკრის ოჯახის შემადგენელი წევრების იდენტიფიკაცია;სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და გარემოს დაცვის წესების აღწერა;ფუტკრის დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება;

4. ფუტკრის მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ (09114-პ)

მოდულები:

1. მეფუტკრეობის საფუძვლები
2. ფუტკრის დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკა

პროგრამის მოკლე აღწერა:

„ფუტკრის დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა“ არის გადამზადების მოკლევადიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კადრების გადამზადებას მეფუტკრეობის მიმართულებით, დროის მოკლე მონაცემთში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველჰყოფს ფუტკრის დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას. პროგრამის კურსდამთავრებული აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ცოდნითა და უნარით, რაც საჭიროა აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად.

პროგრამა ეყრდნობა „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (09114-პ) მოდულებს: მეფუტკრეობის საფუძვლები(0911454); ფუტკრის დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკა (0911456). პროგრამა გათვლილია 8 სასწავლო კვირაზე (60 სთ). ყოველკვირეული სასწავლო დატვირთვა შეადგენს 6-10სთ-ს. პროგრამაზე გამოყენებულია შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა. შეფასების მეთოდებია: გამოკითხვა (წერილობითი) და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, პროგრამის თეორიული კომპონენტი, რომელიც არ ტარდება C გარემოში (პრაქტიკული სწავლების სახელოსნო, საფუტკრე) განხორციელდეს დისტანციური სწავლებით (I-II სწავლის შედეგი).

მეცადინეობები ჩატარდება წინამდღვრიშვილის კოლეჯის თიანეთის ფილიალში (თიანეთი, რუსთაველის 21), რომელიც სრულად არის აღჭურვილი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	მეფუტკრეობის ბიოლოგიური საფუძვლები; ფუტკრის სასიცოცხლო სისტემები; ფუტკრის ოჯახი, როგორც ერთი მთლიანი ბიოლოგიური და სამეურნეო ერთეული.	1	6	ინტერაქტიული ლექცია; დისკუსია; დემონსტრირება	გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება წერილობითი: მსმენელის წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას	A გარემო (თეორიული სწავლების აუდიტორია)
2	ვეტერინარულ - სანიტარული დამუშავების მნიშვნელობა და წესები; გარემოს სანიტარულ - ჰიგიენური მოთხოვნები და წესები.	2	6	ინტერაქტიული ლექცია; დისკუსია; დემონსტრირება	გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება წერილობითი: მსმენელის წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას	A გარემო (თეორიული სწავლების აუდიტორია)
3	საქართველოში ფუტკრის გადამდები და არაგადამდები დაავადებები;	3	6	ინტერაქტიული ლექცია; პრაქტიკული სავარჯიშო; დემონსტრირება	გამოკითხვა - წერილობითი მტკიცებულება წერილობითი: მსმენელის წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას	A გარემო (თეორიული სწავლების აუდიტორია)

4	ფუტკრის გადამდები და არაგადამდები დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის გზები.	3	10	ინტერაქტიული ღექცია; პრაქტიკული სავარჯიშო; პრაქტიკული მეცადინეობა; დემონსტრირება;	პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება - პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს.	A გარემო (თეორიული სწავლების აუდიტორია) C გარემო (პრაქტიკული სწავლების სახელოსნო, საფუტკრე)
5	საფუტკრე მეურნეობის მომზადება ბრძოლის ღონისძიებებისთვის (პრეპარატის შერჩევა, პრეპარატის მომზადება, ინვენტარის მომზადება, ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება).	3	6	პრაქტიკული მეცადინეობა; დემონსტრირება	პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება - პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს.	C გარემო (პრაქტიკული სწავლების სახელოსნო, საფუტკრე)
6	ფუტკრის გადამდები და არაგადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლოს ღონისძიებების განხორციელება წესებისა და	3	10	პრაქტიკული სავარჯიშო; პრაქტიკული მეცადინეობა;	პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება - პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ წერილობითი	C გარემო (პრაქტიკული სწავლების სახელოსნო, საფუტკრე)

	ნორმების დაცვით.			დემონსტრირება	ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს.	
7	ფუტკრის მავნებლები და მათ საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებები; პროფილაქტიკური და იძულებითი დეზინფექციის დროს სადეზინფექციო საშუალებების გამოყენების წესები და ნორმები; დეზაკარიზაციისა და დეზინსექციის მნიშვნელობა, სადეზაკარიზაციო და სადეზინსექციო საშუალებების გამოყენება წესებისა და ნორმების დაცვით.	4	10	პრაქტიკული სავარჯიშო; პრაქტიკული მეცადინეობა; დემონსტრირება	პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება - პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს. A გარემო (თეორიული სწავლების აუდიტორია) C გარემო (პრაქტიკული სწავლების სახელოსნო, საფუტკრე)	
8	ფუტკრის მავნებლებისგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება წესებისა და ნორმების დაცვით; შესრულებული სამუშაოების შესახებ ჩანაწერების წარმოება.	4	6	პრაქტიკული მეცადინეობა; დემონსტრირება	პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება - პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ წერილობითი ჩანაწერი/კითხვარი/შეფასების ფურცელი ან/და აუდიოჩანაწერი ან/და	C გარემო (პრაქტიკული სწავლების სახელოსნო, საფუტკრე)

				ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს მსმენელის მიერ დავალების შესრულების პროცესს.	
--	--	--	--	---	--

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

<p style="text-align: center;">პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა - „მეფუტკრეობა“ (09114-პ)</p>	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
მეფუტკრეობის საფუძვლები: 0911454	<ol style="list-style-type: none"> ფუტკრის ოჯახის შემადგენელი ნაწილების აღწერა; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს აღწერა; ფუტკრის დაავადებებსა და მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების აღწერა.
ფუტკრის დაავადებების მკურნალობა -პროფილაქტიკა: 0911456	<ol style="list-style-type: none"> ფუტკრის დაავადებების მართვა; ფუტკრის მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება.